სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 131

ქ. თელავი 31 მაისი, 2017 წელი.

ერთის მხრივ, **სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მზია მაისურაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,ელსი ვაიკიკი გე,, (LC „WAIKIKI") ს/კ 404916114 იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ა. თვალჭრელიძის ქ.N 2 წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დალაქიშვილის სახით** ,(შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის დაცვის თანამშრომლებისთვის 12 ცალი მაისურის შესყიდვა. 1 ცალის ღირებულება _ 17,00 ლარი.

1.2 შესყიდვის საფუძელი _ გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით.
1.3 დაფინანსების წყარო _ 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

CPV კოდი: **18332000** - მაისურები.

1.2 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საქონელი "შემსყიდველს" ხელშეკრულების გაფორმებიდან **ერთი კვირის ვადაში.**

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 204,00 (ორას ოთხი ლარი და ნული თეთრი) ლარს. (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი შესყიდვის ობიექტი.
3.2 მისამართი: **ქ. თბილისი, ა. თვალჭრელიძის ქ.N 2.**
3.3 მიწოდება განხორციელდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

3.4 მიწოდებას თან უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშორება.
5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებიდან **10 დღის ვადაში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიიღოს მიწოდებული საქონელი;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის;

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

8.2 იმსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტომდე.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
დასახელება:	დასახელება:
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს ,,ელსივაიკიკი გე,, (LC „WAIKIKI")
მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის 1	მის: ქ. თბილისი, ა. თვალჭრელიძის ქ.N 2
საიდენტიფიკაციო კოდი - 231187168	საიდენტიფიკაციო კოდი:404916114
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE 22
ანგN/ სახაზინო კოდი: 200122900	ანგN/: GE 20 BG 0000000 6686 45700
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
_____	_____
ძმია მაისურაძე	გიორგი დალაქიშვილი